ზაზა ასლანიძე

ა ხ, მ ე ზ უ რ ნ ე ვ - დ ა ჰ კ ა რ, დ ა ჰ კ ა რ

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი

დურმიშხანი

კოტე - დურმიშხანის თანაშემწე

თათული - დურმიშხანის მდივანი

საჭირო კაცი

დიდ ოთახში განლაგებულია საოფისე ავეჯი და ტექნიკა. კედლები აჭრელებულია საარჩევნო პლაკატებით და დურმიშხანის პორტრეტებით. კედელზე კიდია,ყვავილებში ჩაფლული, ხათუნა ბიცოლას უზარმაზარი პორტრეტი. პორტრეტს დიდი ასოებით აწერია - „ხათუნა ბიცოლა“.თათული ხათუნა ბიცოლას პორტრეტთან დგას და ლაპარაკობს:

თათული-გიგი. მე ვარ, გიგი. ჩემი კარგად გესმის?

გიგის ხმა-კი, მესმის... ყოჩაღ, თათუ...

თათული-აპარატურაისე დავაყენე - ლაივში მოისმენ ყველაფერს...

გიგის ხმა-მიყვარხარ, თათუ...

თათული-მეცინება გიგი... როგორია? ოპოზიცია უსმენს მთავრობას... მაგარია არა?...

გიგის ხმა-ფრთხილად იყავი...

თათული-ნუ გეშინია, გიგი... ვერმიხვდებიან.ყვავილებში დავმალე...

შემოდიან დურმიშხანი და კოტე

თათული-მოვიდნენ...

თათულიხათუნა ბიცოლას პორტრეტთან დალაგებულ ყვავილებს ასწორებს

თათული-ხათუნა ბიცოლა, ამ ყვავილებს გამოცვლა უნდა...

კოტე-რა ლამაზი ხარ, თათუ... ვაიმე!

თათული-(კოტეს) დაახვიე.

კოტე კომპიუტერს მიუჯდება. დურმიშხანი თათულისთან მივა

დურმიშხანი-(თათულის) ვის ელაპარაკებოდი?

თათული-(ღიმილით)დურმიშხან, ერთი ტონა შამპუნი გაჩუქეს.

კოტე-რა ამბავია, ტონა შამპუნი? გრძელი თმა კი აქვს, მაგრამ - დურმიშხანია. ყარაბას-ბარაბასი კი არ არის.

დურმიშხანი-(შესძახებს) შენც, კოტე?!

კოტე-(შეშინებული) რა მე?

დურმიშხანი-შე-ე-ნც, კოტე?!

კოტე-(ტირილით) ჰო...მეც... თათული...

დურმიშხანი-(ყვირილით აწყვეტინებს) რა თათული, ბიჭო?! ბურატინო! ბურატინო!

კოტე-რა ბურატინო?

დურმიშხანი-ბურატინო შენც წაიკითხე?!

კოტე-ჰო.

დურმიშხანი თვალებით მოწკურვითა და ცერა თითით აჩვენებს კოტეს - „მაგარი ხარო“

დურმიშხანი-თათული, ვის ელაპარაკებოდი?

თათულიზურგშექცევით, მალულად ისმევს პომადას, შემოტრიალდება და დურმიშხანს ჩაეკონება

თათული-ყურში გეტყვი...

დურმიშხანი ნაზად მოიცილებს თათულის

დურმიშხანი-(თათულის)ტელეფონი მაჩვენე... ვინ იყო? თაზო? ნიკა?

თათული-ჩემი ეჭვიანი ბიჭი... (შესძახებს) დურმიშხან!ეს რა არის?!(ყვირის) გველი!!!

დურმიშხანი-(შეშინებული შეხტება) რა გველი?!

თათული-პომადა გაქვს ყელზე...

დურმიშხანი-(დაბნეული) პომადა? (შვებით) ალბათ, შენი პომადაა...

კოტე-ჰო,თათული, ალბათ შენი პომადაა.იმ ქალს,სულ სხვა ფერის პომადა ჰქონდა...

თათული-აჰა! ესე იგი, იმ ქალის არა?გველი!

დურმიშხანი-კარგი რა, თათული...სად მცალია ქალებისთვის... საათები რჩება - საარჩევნო უბნების გახსნამდე... (კოტეს გასაგონად) ჩვენ კი, სლოგანიც არ გვაქვს მოფიქრებული... (ყვირის) კოტე!

კოტე-დასაქმება! აი, ჩვენი საარჩევნო სლოგანი! სამუშაო ადგილებს დავპირდეთ ხალხს!

დურმიშხანი-(კოტეს) ვინ დაგვიჯერებს, შე უბედურო?! რამე წესიერი მოიფიქრე. ხომ არ გავიწყდება - ხელისუფლება ვართ! მთავრობა!

კოტე-მაშინ დემოგრაფია!დემოგრაფიული საკითხით მოვიგებთ არჩევნებს...გამრავლებისკენ მოვუწოდოთ...

დურმიშხანი-(თავში შემოიცემს ხელს) მტერი ხარ, ბიჭო?! მშიერი ხალხის გამრავლება მინდა?!

თათული-დურმიშხან... ცოდოა კოტე. ამსაწყალს, სულ ქალები ესიზმრება...

კოტე-თათუ, რა კარგი ხარ, თათუ... უჰ...

დურმიშხანი-თათული, კოტესგან აღარაფერი გამოვა. საჭირო კაცი გვინდა.

თათული-საჭირო კაცი, უკვე აქ არის.

დურმიშხანი-სად აქ?

თათული-სავარძელში ზის.

დურმიშხანი-სად? მარტო კვამლი ჩანს...

საჭირო კაცის ხმა-სიგარას ვაბოლებ. ვაბოლებ, ვაბოლებ და ყველას ვაბოლებ!

საჭირო კაცი დგება და კვამლიდან გამოდის

დურმიშხანი-შენ, საჭირო კაცი ხარ?

საჭირო კაცი-მე თუ დამიჯერებთ - გპირდებით, არჩევნებსმოვიგებთ! ოღონდ, ამ წუთიდან, (თითს აწევს) უფროსი - აქ, მე ვარ.

დურმიშხანი-დაიწყე და ვნახოთ.

საჭირო კაცი-წეღან გისმენდით. კოტემ, ძალიან საინტერესო აზრი გამოთქვა.

კოტე-(საჭირო კაცს) რომელი მოგეწონა?

საჭირო კაცი-დემოგრაფია. დემოგრაფია...

კოტე-უცებ გამინათდა გონება... უეცრად მივხვდი, რომ ერია გადასარჩენი... რომ, უნდა გავმრავლდეთ... შობადობა...

საჭირო კაცი-(კოტეს აწყვეტინებს) მომისმინეთ!მოკლედ გეტყვით. მრავალქმრიანობა უნდა შემოვიღოთ! კანონი უნდა მივიღოთ!

კოტე-„მრავალქმრიანობა გადაგვარჩენს“ !!! მშვენიერი სლოგანია!

დურმიშხანი-თათული, „ეს“, ნამდვილად - „ის“, საჭირო კაცია?

თათული-ხათუნა ბიცოლამ გამოგვიგზავნა. ხათუნა ბიცოლამ თქვა: - „თავს დავდებ - ამ კაცზე.“თან, ღრმად მორწმუნეაო...

საჭირო კაცი-ქალები კაცებზე ცოტანი გვყავს. მთელი ქალები უცხოეთში არიან... კაცებსაც ენატრებათ ქალები და ქალებსაც ენატრებათ კაცები...

კოტე-როგორ გამოგვეპარა უცხოეთი... იქაც ხომ ტარდება არჩევნები...

საჭირო კაცი-ჰოდა, გადახვეწილ ქალებსაც შეეხებათ ეს კანონი. ამაზე უკეთესს ვინ შესთავაზებს?! ქმრები აქაც ეყოლებათ და იქაც...

დურმიშხანი-არ გამოვა. კაცებს არ მოეწონებათ.

საჭირო კაცი-რაა?! ნეტა, კაცებს ვინ მოუსმენს?! აბა, კარგად დათვალეთ - ყველა ქალი ჩვენ მოგვცემს ხმას. კაცები ხომ არიან ჩვენ პარტიაში? არიან. პარტიული კაცები ჩვენ მოგვცემენ ხმას... რაღა რჩება? ერთი მუჭაკაცუნები?!ვაი... იმათაც ჩვენთვის მოვაცემინებთ ხმას!

დურმიშხანი-არ მოგვცემენ. მე, პირადად, არ მოგცემთ ხმას.

საჭირო კაცი-ისე კარგად მოგვცემ - როგორც დაგიბარებია.

დურმიშხანი-როგორ? მაიძულებ?!მემუქრები?!

საჭირო კაცი-არა. არ გემუქრები. შეგპირდები, რომ ცოლთან გაყრის უფლებას მოგცემ. არ მოგვცემ ხმას? ჰოდა, იყავი იმ შენს ცოლთან! სამუდამოდ... სამუდამოდ, ერთ მრავალქმრიან ქალთან...!!!

დურმიშხანი-ხომმომცემ ცოლთან გაყრის უფლებას?

საჭირო კაცი-კანონ-პროექტის სახით გპირდები.

დურმიშხანი-აკი, გაყრის უფლებას მოგცემო?

საჭირო კაცი-სხვა გპირდება რამეს? უკეთესი შემოთავაზება გქონია? თუ ხმას არ მოგვცემ - ამასაც დაკარგავ. კანონ-პროექტიც დიდი დათმობაა.

ხანგრძლივი დუმილი.

თათული მიდის ხათუნა ბიცოლას პორტრეტთან და ხმადაბლა ლაპარაკობს:

თათული-(ხმადაბლა) გიგი. გესმის გიგი? კანონს იღებენ მრავალქმრიანობაზე... ხომ გაიგე?

საჭირო კაცი-რას გაიტრუნეთ? დურმიშხან, არ მოგეწონა?...კოტე! თათული! თქვენ? თქვენ, რას იტყვით?

თათული-ჰო. არაფერი... (იღიმის) ფიქრებმა წამიღო...

საჭირო კაცი-უმადურები ხართ!

კოტე-რატომ გვიბრაზდები?

საჭირო კაცი-დაივიწყეთ... უკეთესად უნდა ამეხსნა... თათული, ჩემი გოგო, ეგ კაბა კიდევ დაიმოკლე. ისე რომ, ყველაფერი გამოგიჩნდეს.

თათული აიწევს კაბას

კოტე-თათული! რა კარგი ხარ, თათული.

საჭირო კაცი-კარგია. მკერდიც გამოგვიჩინე, საყვარელო. თან, გაიღიმე თათული!

კოტე-მუ, მუ, მუ...თათუუუ...

საჭირო კაცი-აი, ასეთი იქნება ჩვენი სამშობლო! ახლა, წარმოიდგინეთ, რომ ქუჩები სავსეა მომღიმარი, ბედნიერი, ლამაზი ქალებით...

კოტე-მიყვარხარ თათუ...

საჭირო კაცი-თათული, ჩემსკენ წამოდი. თეძოების რხევით. მშვენიერია. ყოჩაღ თათული.

დურმიშხანი-ვხედავ! ვხედავ! უუუ, რა ნაშებია!

საჭირო კაცი-ქალი მოვლილი, დასვენებული, ბედნიერია... ის ხომ არ მუშაობს... არც სახლში აკეთებს რამეს, არც სამსახური და ბავშვები აწუხებენ... აბა, რა ჯანდაბად უნდა ამდენი ქმარი?! მხოლოდ გართობა ესიზმრება და სულ კაცების ალერსშია გახვეული...

კოტე-შენი მონა ვიქნები, თათული...

საჭირო კაცი-თათული, თმა შეარხიე!

დურმიშხანი-მე, ამ ანგელოზის მთავრობა ვარ...

საჭირო კაცი-თათული, ტაკუნები შეათამაშე!

კოტე-ვაიმე დედა...დედიკო...

საჭირო კაცი-ქალს აქეთ-იქიდან ორი ახალგაზრდა ბიჭი მოჰყვება... ქალი ხან ერთს ეხუტება, ხან მეორეს... დურმიშხან! კოტე! გვერდიდან ამოუდექით თათულის! იარეთ. ასე. კარგია. თათული, გაეხახუნე ბიჭებს... უფრო სექსუალურად თათული... დურმიშხან, მხრებში გასწორდი... ახალგაზრდა ხარ, დურმიშხან! შენ ხომ ულამაზესი ცოლი გყავს... ახალგაზრდა... ვნებიანი... კოტე, ხელი შეუცურე... ჰოო, ეგრე...

დურმიშხანი-რა ლამაზი ცოლი მყავს... მე,დურმიშხანს, ასეთი ცოლი უნდა მყავდეს...

საჭირო კაცი-ქალი მხოლოდ იმაზე ფიქრობს - რა ჩაიცვას, როგორ გაერთოს... ქმრებს უყურებს და ირჩევს - რომელთან დაწვეს...

დურმიშხანი-(ყვირილით) მოიცა!ქალი ირჩევს ვისთან დაწვეს?!

საჭირო კაცი-ჰო, ქალი ირჩევს. მრავალქმრიანობის მუღამიც ეგ არის, დურმიშხან.

დურმიშხანი-მერე მე?! მე რომ მომინდეს ჩემიცოლი?! ჩემი სურვილი არ ითვლება?! მე, მისი პირველი ქმარი ვარ!!!

კოტე-მერე რა, რომ პირველი ქმარი ხარ?! იქნებ, ჩემთან უნდა?! რახან პირველი ქმარი ხარ - უნდა იძალადო?!

დურმიშხანი-(კოტეს) მოკეტე! ჩემი, პირველი ქმრის უფლებები ირღვევა! ამას, როგორც მთავრობა - ანუ, კანონშემოქმედი ვამბობ!

კოტე-(ტირის) მერე რა, რომ მე შემდეგი ქმარი ვარ...

საჭირო კაცი-მაგაზე კი არ მიფიქრია...

დურმიშხანი-(საჭირო კაცს) მოიფიქრე! მოიფიქრე! დახვეწე! უსამართლო კანონია!

პაუზა

თათული-(ყვირის) ურიგოდ!

დურმიშხანი-რა ურიგოდ?

თათული-პირველ ქმარს ურიგოდ ეკუთვნის...

დურმიშხანი-უხ, შენ გენაცვალე!!! ჩემო, ჭკუით გატენილო!!! ჩემო სიხარულო! ჩემო ერთადერთო!

საჭირო კაცი-დისკუსია ამოიწურა! ყოჩაღ თათული! (საათს დახედავს) მალე არჩევნები იწყება... დურმიშხან, გამოაქვეყნე ეს კანონ-პროექტი! ჩვენ გავიმარჯვებთ!

დურმიშხანი-კოტე! მიუჯექი კომპიუტერს, ტექსტი გააშალაშინე და ყველა ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიებს დაუგზავნე კანონ-პროექტი!

კოტე მიუჯდება კომპიუტერს და შეჰყვირებს

კოტე-დავიღუპეთ! დავიღუპეთ!

ყველანი კოტეს მიცვივდებიან

კოტე-(ტირილით) ოპოზიციამ დაგვასწრო! ოპოზიციამ იდეა მოგვპარა!დაგვასწრეს! უკვე გამოაქვეყნეს! გამოაქვეყნეს! მაგათია უკვე, მრავალქმრიანობის კანონი!!!მაგათი!

დურმიშხანი-(ძირს დაეცემა, თავს იატაკს ურტყამს და ბღავის) არჩევნები წავაგეთ! წავაგეთ!

კოტე-(ტირილით) ამ კანონით ოპოზიცია მოგვიგებს! ყველაფერი მორჩა...!

საჭირო კაცი-არაფერიც არ მორჩა! აბა, მე აქ რისთვის ვარ?!

დურმიშხანი-(ფეხებს უკოცნის საჭირო კაცს) შენ ფეხებს ვენაცვალე... შენ გაიხარე... (დაოთხილი, ფორთხვით მივარდება ხათუნა ბიცოლას პორტრეტთან) ხათუნა ბიცოლა, ღმერთმა დაგლოცოს - ეს კაცი, რომ გამომიგზავნე...

საჭირო კაცი-მორჩი! გეყოფა! ახლა მოქმედებაა საჭირო... თუ, რადიკალური ზომები არ მივიღეთ - ოპოზიცია გაიმარჯვებს...

დურმიშხანი-(ზეზე წამოხტება) ბრძანე! ყველაფერს შევასრულებთ! გადაგვარჩინე... გვიშველე!

საჭირო კაცი-აშკარა გაყალბებებით უნდა ჩატარდეს არჩევნები...

დურმიშხანი-(საჭირო კაცს) ეგ, თავისთავად! მერე?

საჭირო კაცი-ოქმები, უხეში შეცდომებით გადაწერ-გადმოწერეთ... ისეთი დარღვევებით უნდა მივაცემინოთხმა ამომრჩევლებს, რომ ვერავინ უარყოს დარღვევები... თან, ეს ყველაფერი - ვიდეოზე უნდა გადაიღონ... ფაქტები! ფაქტები გვჭირდება...

დურმიშხანი-რაში გვჭირდება ეს ფაქტები?

საჭირო კაცი-ჩვენს მომხრეებს იარაღი დაურიგეთ.

კოტე-შარშან დავურიგეთ.

საჭირო კაცი-ჩვენიანებმა ჟურნალისტებიც უნდა ცემონ.

კოტე-ვაცემინებთ რომელია. დავასისხლიანებთ!

საჭირო კაცი-დარღვევები,იარაღის ტრიალი,ჟურნალისტების ცემა - ვიდეოზე უნდა გადაიღონ დამკვირვებლებმა.

დურმიშხანი-ვინ?! დამკვირვებლებმა?!ჩვენმა მტრებმა?!

საჭირო კაცი-ოპოზიციას თავისი ამომრჩეველი ხომ მიცემს ხმას?! მაგრამ, ეს არ კმარა! ჩვენმა მომხრეებმაც - ოპოზიციას უნდა მისცენ ხმა...

დურმიშხანი-სულ გაგიჟდი?!

საჭირო კაცი-უნდა ჩავრთოთ მთელი ადმინისტრაციული რესურსი და ყველა ჩვენმა მომხრემ - ოპოზიციას უნდა მისცეს ხმა... მოისყიდეთ ნეიტრალური ამომრჩეველი, რომ ოპოზიციას მისცენ ხმა...

დურმიშხანი-(იარაღს დააძრობს) ამ, საჭირო კაცს - ტვინს გავუხვრეტ!

თათული გადაეფარება საჭირო კაცს

თათული-ვერა, დურმიშხან! ეს კაცი, ხათუნა ბიცოლას კაცია!

დურმიშხანი-ცოტასაც მოვუსმენ და...

დურმიშხანი იარაღს შეინახავს

საჭირო კაცი-უნდა ჩავრთოთ - ადგილობრივი და უცხოელი ბანდიტები, ძველი ბიჭები... მოგვეხმარონ... მოგვეხმარონ ხალხის დაშინებაში, რომ ყველამ ოპოზიციას მიცეს ხმა... ყველამ! ყველამ! ოპოზიციას უნდა მიცეს ხმა...

კოტე-მერე? ხომ გაიმარჯვებს ოპოზიცია?!

საჭირო კაცი-ჰო, გაიმარჯვებს! მაგრამ, როგორ? ოთხმოცდათხუთმეტი? ასი პროცენტით? თან, ასეთი დარღვევებით...? ვინ დაიჯერებს ასეთ გამარჯვებას?!

კოტე-რაღაცას ვხვდები...

საჭირო კაცი-ყველას უნდა ჩავუდოთ ტვინში - ოპოზიციამ ჩაიდინა ეს პროვოკაციებიო.

კოტე-დამკვირვებლები და საელჩოები მასხრად აიგდებენ ოპოზიციას...

საჭირო კაცი-უნდა გავაყალბოთ არჩევნები და გაყალბება ოპოზიციას შევტენოთ...

კოტე-ჩვენი არასამთავრობოები საკუთარი ხელით დაწერენ, რომ არჩევნები ოპოზიციამ გააყალბა...

საჭირო კაცი-დროს მოვიგებთ. ახლა, მთავარია, დრო მოვიგოთ... მთავარია, არჩევნები გადაიდოს... ან, ჩაშლილად გამოცხადდეს... მერე... (იღიმის) ამასობაში, მოვიფიქრებ რამეს...

დურმიშხანი-გენიალურია!

საჭირო კაცი-(მაჯაზე ირტყავს თითს) დრო... დრო... არჩევნებია წინ! არჩევნები! აბა ჰე, დასცხეთ!

დურმიშხანი-(საჭირო კაცს) ჩემი ძმა ხარ! ამას არ დაგივიწყებ...

საჭირო კაცი-(ღიმილით) სიგარას გავაბოლებ... კვამლში გავეხვევი... და...

საჭირო კაცი სიგარას მოუკიდებს და გაქრება

დურმიშხანი-(კოტეს) წავედით. ჩქარა. უცხოეთის ამბები უნდა დავქოქოთ.

დურმიშხანი და კოტე გადიან

თათული მიდის ხათუნა ბიცოლას სურათთან და ლაპარაკობს:

თათული-წავიდნენ. მარტო ვარ, გიგი. ყველაფერი გაიგე?

გიგის ხმა-კი, გავიგე.

თათული-არჩევნებს გტენიან.

გიგის ხმა-ვიცი... შენი ხმა არ მომწონს, თათუ...

თათული-აღარ შემიძლია, გიგი... წამიყვანე აქედან...

გიგის ხმა-სანამ, დურმიშხანის პარტიას არ დავამარცხებთ - არაფერი გვეშველება, თათუ...

თათული-უშენოდ მოვკვდები, გიგი.

გიგის ხმა-მეც ვიტანჯები, თათუ.

თათული-მე,შენ მიყვარხარ, გიგი. შენთან მინდა.

გიგის ხმა-არჩევნებს რომ მოვიგებ, მერე სულ ერთად ვიქნებით, თათუ.

თათული-მპირდები?

გიგის ხმა-მიყვარხარ თათუ.

თათული-ეს იდიოტი კოტე, თათუს რომ მეძახის - მინდა დავახრჩო.

გიგის ხმა-უნდა მოითმინო, თათუ.

თათული-მინდა, მხოლოდ შენ მეძახდე თათუს...

გიგის ხმა-თათუ, ჩემო თათუ...

თათული-მეზიზღება დურმიშხანი...

გიგის ხმა-უნდა აიტანო. ჩვენი სიყვარულისთვის აიტანე.

თათული-ხან მანქანაში მხმარობს. ხან, რესტორანში - პირდაპირ მაგიდაზე მჟიმავს...

გიგის ხმა-ცოტაც მოითმინე, საყვარელო...

თათული-(ტირილით) მაგ ნაბიჭვარმა ბავშვი გამაჩენინა...

გიგის ხმა-თათუ, შენი გულისთვის ცოლს ვეყრები...

თათული-მე გაყრა არ მითხოვია...

გიგის ხმა-ბრაზობ საყვარელო?

პაუზა

თათული-(იღიმის) გიგი, ხომ გაეყრებიცოლს?

გიგის ხმა-როდისმე მომიტყუებიხარ? გავეყრები, აბა რა...

თათული-გიგი, ეს ბოლოა.

გიგის ხმა-თათუ, თუ არჩევნებში დავმარცხდით - ვერც ცოლს გავეყრები და ვერც ერთად ვიქნებით.

თათული-ამას მხოლოდ შენი გულისთვის ვაკეთებ, გიგი. იცოდე. მხოლოდ შენთვის...

გიგის ხმა-თათუ, დაიმახსოვრე - არჩევნებში თუ დავმარცხდით - აღარც სიყვარული იქნება და...

შემოდის კოტე

თათული-კოტე მოვიდა. მოვრჩეთ...

კოტე-თათუ, ახალი ხომ არაფერია?

თათული-კიდევ დამიძახებ თათუს და მოგცხებსიფათში!

კოტე-როგორ გაიგეს?

თათული-რა, როგორ გაიგეს? ვინ გაიგო?

კოტე-ოპოზიციამ, როგორ გაიგო ჩვენი კანონ-პროექტის შესახებ?

თათული-ჰოო... რა ვიცი...

კოტე-თან, ასე უცებ... ასე უცებ, როგორ გაიგეს?

თათული-მოდი ჩემთან...

კოტე-ხომ არ გვისმენენ, თათული?

თათული-(თავზე, სახეზე და მხრებზე ეფერება) კოტე, რა სიმპათიური ხარ... მაგარი ბიჭი ხარ, კოტე...

კოტე-(იღიმის) მართლა თათუ? ოპოზიციის აგენტი...

თათული-(აწყვეტინებს) რა დროს ოპოზიციაა... მომეფერე... მომეფერე...

კოტე-მერე, დურმიშხანი?

თათული-ახლა, შენი რიგია... კანონ-პროექტი, ჩემო კოტიკო...

კოტე-მიყვარხარ თათული...

თათული-მომეხვიე, ჩემი ბიჭი... უხ, ჩემი ბომბა!

კოტე-თათუ, რა ტკბილი ხარ... თათუ...

თათული-ჩამეხუტე, ჩემო ბიჭო. გთხოვ, თათუს ნუ მეძახი...

კოტე-ჩემი თათული...

შემოდისდურმიშხანი. დურმიშხანი დაადგება თათულის და კოტეს და გაშეშდება

დურმიშხანი-(ყვირილით) ვინ ხართ?!რას აკეთებთ?!თათული, შენ...?!?!?! დაგხოცავთ თქვენი დედა...!

თათული-დურმიშხან,ეს ის არ არის, შენ რომ გგონია!

დურმიშხანი-რა, ის არ არის, გოგო?! კინოებს მიყვები?! აბა, რა არის?!

თათული-მეგობრულად...

დურმიშხანი-(აწყვეტინებს) რა მეგობრულად?! დამცინი?!

თათული-კოტეა, კოტე! ჩვენი მეგობარი კოტე... ვერ იცანი?

კოტე-კოტე ვარ, კოტე!

დურმიშხანი მუხლებზე დაეშვება:

დურმიშხანი-ამაში გამცვალე, გოგო?!

კოტე-თავი დაგვანებე...

დურმიშხანი-(კოტეს) ხმასაც იღებ, შე ნაბიჭვარო?!

დურმიშხანი იარაღს დააძრობს

დურმიშხანი-(კოტეს)ზედ დაგაკლავ! მე, შენი...!!!

კოტე-დამანებე თავი... ჩემი რიგია...

დურმიშხანი-რა შენი რიგია? სულ გაგიჟდი?!

კოტე-კანონ-პროექტი! კანონ-პროექტი! მრავალქმრიანობა!

თათული-ჰო, კანონ-პროექტი! ჯერ შენ, და მერე ყველა დანარჩენი, დურმიშხან! კანონ-პროექტი... დაგავიწყდა?

დურმიშხანი-ესე იგი, თქვენ კანონ-პროექტს...?

კოტე-დიახაც! ჩემი რიგია! წადი აქედან! მომეფერე, თათუ...

დურმიშხანი-(ყვირის) უტვინოებო! კანონპროექტი ჩაიშალა! ახლა, ეგ ოპოზიციის კანონ-პროექტია! ვის უჭერთ მხარს, თქვე მოღალატეებო! ოპოზიციას უჭერთ მხარს?!

თათული-უი! მგონი, მართალია, დურმიშხანი!

კოტე-ჰო. მგონი, შეგვეშალა...

თათული-(კოტეს) ადე, შე უნამუსო!კინაღამ, პარტიას ვუღალატე...

დურმიშხანი-ვაი! რა გეშველებათ, მე რომ არ გყავდეთ?! თქვე უპატრონოებო...

თათული და კოტე წამოდგებიან. სამოსს ისწორებენ. დურმიშხანი ინახავს იარაღს

დურმიშხანი-(იცინის) კანონ-პროექტიო...

თათული-დურმიშხან, აბა, შენ რა გეგონა?!

დურმიშხანი-მე? მე, არაფერი...

თათული-გამოტყდი! გეგონა გიღალატე, არა?

დურმიშხანი-აბა, რას ამბობ, თათული?! შენ? მე?

თათული-ბოზი გგონივარ?

დურმიშხანი-არა, თათული! რას ამბობ?! შენ ხომ, მხოლოდ კანონ-პროექტს ანხორციელებდი... თან, შეცდომით...

თათული-(ტირილით) თავი დამანებე...

დურმიშხანი-მაპატიე თათული...

კოტე-გრცხვენოდეს დურმიშხან.

დურმიშხანი-წავედი...

დურმიშხანი კართან შეჩერდება:

დურმიშხანი-ჰო, შამპუნი ჩვენ ამომრჩევლებს მიეცით...

კოტე-შამპუნი...? ამომრჩეველს? მერე შენ?

დურმიშხანი-მე, აღარ დამჭირდება... ჯოჯოხეთში მივდივარ...

თათული-(ყვირის) რაო?! (იატაკზე ეცემა და ტირის) არ დამტოვო, დურმიშხან! რისთვის იკლავ თავს! რისთვის?

დურმიშხანი-ღირსებისათვის...

თათული-მერე რა, რომ ბოზი გეგონე... ბოზი ვარ! ბოზი! ოღონდ, შენ იყავი ცოცხალი...

დურმიშხანი-მე ჩემს სიტყვას არ გადავალ...

თათული-ოღონდ, ეს არჩევნები ჩაატარე და მერე... მერე წადი ჯოჯოხეთში...

დურმიშხანი-არა! მოსახდენი უნდა მოხდეს!

კოტე ყვირილით გადაეღობება დურმიშხანს

კოტე-(ყვირის) შეცდომა ვის არ მოსვლია, დურმიშხან!მერე რა, რომ თათული ბოზი გეგონა... არა, დურმიშხან! ცხოვრება გრძელდება...

დურმიშხანი-რეებს ბოდავ? გამიშვი.

კოტე-ვერ გაგიშვებ! რატომ თქვი - შამპუნი აღარ დამჭირდებაო?

დურმიშხანი-სიტყვა ფულია, ძმაო...

თათული-(დურმიშხანს) მოდი საყვარელო. დივანზე წამოწექი...

კოტე და თათული დივანზე წამოაწვენენ დურმიშხანს.

თათული-კოტე, რამე ხალხური იმღერე.

კოტე „ოროველას“ მღერის. თათული გვერდით მიუწვება დურმიშხანს:

თათული-(ტანზე ეფერება დურმიშხანს) როგორ გაზრდილხარ... ე, რამოდენა გამხდარხარ...?ხალხს და პარტიას, რა ვუთხრა, ბიჭო...?

დურმიშხანი-არჩევნები გადაიდო თქო...

კოტე-დურმიშხან,აგენტების სახელები გვითხარი...

თათული-(კოტეს შეუღრენს) იმღერე!

კოტე აგრძელებს სიმღერას

თათული-(დურმიშხანს) სად არის ფული... აგენტებიც მითხარი... თან ნუ წაიღებ...იქ, არ დაგჭირდება... არ დამიმალო, ბიჭო. ყველაფერი თქვი...

დურმიშხანი-უნდა გადავიპარსო.

თათული-რა უნდა გადაიპარსო?

დურმიშხანი-ნიძლავი წავაგე, თათული! ნიძლავი...

თათული-რა ნიძლავი?

დურმიშხანი-ნიძლავი დავდე... თუ, ახლა არჩევნებს ვერ მოვიგებ - თავს გადავიპარსავ მეთქი.

პაუზა

თათული-პარიკმახერთან მიდიოდი?

დურმიშხანი-ჰო, ჟანამ - მე გადაგპარსავო.

თათული-და, შამპუნიც ამიტომ აღარ გინდა?

დურმიშხანი-ჰო, რაღად მინდა?

კოტე-ფუი შენი!

თათული ყელში წაუჭერს ხელს დურმიშხანს და ახრჩობს:

თათული-(ყვირის) მოკვდი! მოკვდი!

თათული უეცრად ჩერდება, წამოხტება და კივილითდაიწყებს ოთახში სირბილს. უცებ გაჩერდება და გაშეშდება.აიფარებს პირზე ხელებს და თვალს ხუჭავს. მერე მოიცილებს ხელებს და გაბრწყინებული სახით იღიმის:

თათული-(ღიმილით) მართალია. თუ, თავი უნდა გადაიპარსოს,რაღად უნდა შამპუნი...

დურმიშხანი-(ხელით აჩვენებს - აფრენთო) ვერა ხართ, აი! წავედი, ჟანა მელოდება.

დურმიშხანი გადის.

თათული-მეც წავედი.

კოტე-დარჩი რა.

თათული-არ მცალია. მწერალი უნდა ვნახო.

კოტე-ვინ მწერალი?

თათული-არის რა... არჩევნებში დაგვჭირდება.

კოტე-მერე ეგრე მიდიხარ?

თათული-(ტანსაცმელზე დაიხედავს) ცუდად მაცვია?

კოტე-თათუუ, მომისმინე. უჯრაში აფთიაქის რაღაც ვაუჩერები ყრია - წაიღე და იმ შენ მწერალს მიუტანე.

თათული-თათუს ნუ მეძახი.

კოტე-სურათები არ დაგავიწყდეს.

თათული-რა სურათები?

კოტე-რა გჭირს, თათული? ფოტოები. ფოტოები გადაიღე იმ შენ მწერალთან. მერე მაგ ფოტოებს გამოვაქვეყნებთ - მწერლებს ვეხმარებითო. ვითომ, იმ შენ მწერალს, მაგრად დაეხმარე... ფულს მოვტეხავთ. გაიგე, თათუ?

თათული-თათუს ნუ მეძახი. და, ჩემი მწერალი არ არის. წავედი.

კოტე უჯრიდან იღებს აფთიაქის ვაუჩერებს და აფრიალებს

კოტე-ვაუჩერები? არ მიგაქვს? (იცინის) მწერალს ხომ უნდა დავეხმაროთ?!

თათული-მომეცი. ჰო.

კოტე აძლევს ვაუჩერებს და თათული გადის

კოტე-(ხმამაღლა) გამოდი!

დუმილი

კოტე-საჭირო კაცო! გამოდი!

საჭირო კაცის ხმა-არ გამოვალ. ისე დაგელაპარაკები.

კოტე-ვინ არის - ოპოზიციის აგენტი?

საჭირო კაცის ხმა-მართლა გაინტერესებს?

კოტე-დურმიშხანს რატომ არ ეუბნები?

საჭირო კაცის ხმა-შენ რატომ არ ეუბნები?

კოტე-ამდენს, რატომ მითმენს დურმიშხანი?

საჭირო კაცის ხმა-ვერ ხვდები?

კოტე-ყველაფერს მპატიობს. ფულს თავზე მაყრის.

საჭირო კაცის ხმა-უნდა გიხაროდეს, მერე...

კოტე-მითხარი, რატომ მანებივრებს დურმიშხანი?

საჭირო კაცის ხმა-სარკეში ჩაიხედე, კოტე...

კოტე-(სიცილით) რომელ სარკეში? სულის სარკეში?

საჭირო კაცის ხმა-ჩვეულებრივში კოტე. ნუ იღრიჭები. შედი ტუალეტში და სარკეში ჩაიხედე...

შემოდის თათული

კოტე-თათუ? რაო შენმა მწერალმა?

თათული-გიჟი ვარ. არ დამელაპარაკო.

კოტე-რა ლამაზი ხარ, გოგო...

თათული-მე რა გითხარი?! შემეშვი!

კოტე-თათუ, თათუ...

თათული-თათუს ნუ მეძახი! რა აგენტების სიას თხოვდი დურმიშხანს?

კოტე-ჰო, რა ვიცი... არ უნდა მეკითხა?

თათული-კოტე, რა შენი საქმეა აგენტები?

კოტე-იმიტომ ვკითხე, რომ... ოპოზიცია ასე უცებ როგორ იგებს ჩვენს გეგმებს...?

ისმის დურმიშხანის ყვირილი

დურმიშხანის ყვირილი-ჩქარა! ჩქარა!

შემორბის თავგადაპარსული დურმიშხანი და ყვირის

დურმიშხანი-(ყვირილით) გამოდი! ჩქარა გამოდი!

დურმიშხანი ოთახში დარბის და ყვირის:

დურმიშხანი-სად არის?!

თათული და კოტე გაშეშებულები უყურებენ

კოტე-(თათულის) ვინ არის?

თათული-არ ვიცი.

კოტე-(დურმიშხანს) ვინ ხარ?!

დურმიშხანი-მამაშენი ვარ!

თათული-ან, პროვოკატორია, ან გიჟი...

კოტე-პოლიციას გამოვიძახებ.

კოტე ტელეფონზე კრეფს ნომერს

დურმიშხანი-სად არის მეთქი?!

თათული-(ყვირის) მოიცა! კოტე, მოიცა!

კოტე-რა მოხდა, თათული?

თათული-(დურმიშხანს) დურმიშხან, შენ?!

კოტე-დურმიშხანი?! (იცინის) მგონი მოუხდა თავის გადაპარსვა.

დურმიშხანი-მომაძებნინეთ!

კოტე-რა მოგაძებნინო?

დურმიშხანი ყველგან ეძებს - სავარძლის, მაგიდების ქვეშ, ფარდების უკან...ხათუნა ბიცოლას პორტრეტთან მივარდება

თათული-(ყვირის) მანდ ნუ ეძებ!

დურმიშხანი-მაინც ვიპოვი!

დურმიშხანი ყვავილებში იქექება

თათული-ვაიმე! დავიღუპე...

თათულის გული წაუვა და კოტეს მიესვენება ხელში

კოტე-(ყვირის) ვაიმე! თათუ! თათუ!

დურმიშხანი-სად დამემალები?!

კოტე-(ყვირის) დურმიშხან, თათული კვდება!

დურმიშხანი-თათული, არა ისა... (ყვავილებში ეძებს) მაინც გიპოვი!

თათული გონს მოდის და სასოწარკვეთილი იძახის:

თათული-დურმიშხან! აქეთ!

დურმიშხანი-სად? აბა, სად მაქეთ?

თათული-ჩემთან! აქ! აქ, უნდა იყოს!

დურმიშხანი მივარდება თათულის

დურმიშხანი-(დურმიშხანი კაბას აუწევს თათულის) სად არის?

თათული-(ტირილით) არ ვიცი...

კოტე-უუფ! მანდ ეძებე რა, დურმიშხან... მანდ... უუხ! უ, რა ქალი ხარ, თათუ...

დურმიშხანი ჩამოუწევს კაბას თათულის. მოტრიალდება, თავში სტაცებს კოტეს და ხან ერთ ყურში ჩახედავს, ხან მეორეში

დურმიშხანი-არც აქ არის...

დურმიშხანი-(კოტეს) პირი გააღე!

დურმიშხანი ყურადღებით ათვალიერებს კოტეს პირის ღრუს და მერე პირში ჩასძახებს:

დურმიშხანი-გამოდი! სად იმალები?!

თათული-რას ეძებ?

დურმიშხანი-სად დაიმალა?

კოტე-მგონი, ადამიანს ეძებს...

დურმიშხანი-ადამიანს! ადამიანს ვეძებ! აბა, რას ვეძებ?! მაპოვნინეთ!

თათული-(შვებით) უი... შენ გაგახარა... გული გამისკდა... (იღიმის) კაცს ეძებ? ეძებე, დურმიშხან, ეძებე...

კოტე-და... ვის ეძებ?

დურმიშხანი-სად არის საჭირო კაცი?! სად?!

კოტე-აქ იქნება...სადმე.

დურმიშხანი-(ყვირის) საჭირო კაცოოო!!!სად ხარ?! (სასოწარკვეთილი) აკი, აქ არისო?

დურმიშხანი მოწყვეტით ჩაეშვება სავარძელში

დურმიშხანი-(ამოიბღავლებს) დავიღუპეთ...

კოტე-რა მოხდა, დურმიშხან?

დურმიშხანი-საშინელება...

კოტე-აღარ იტყვი?

დურმიშხანი-შემოგვიტრიალეს...

თათული-რა შემოგვიტრიალეს?

დურმიშხანი-(ტირილით) ჩვენი გეგმა, აქეთ შემოგვიტრიალეს... მთელი ოპოზიცია ჩვენ გვაძლევს ხმას... ჩვენ...

თათული-დაუჯერებელია...

დურმიშხანი-ჰო, მთელი ოპოზიცია ჩვენ გვაძლევს ხმას... ძაღლი პატრონს ვერ ცნობს... ჩვენები ოპოზიციას აძლევენ ხმას... ოპოზიცია ჩვენ გვაძლევს ხმას...

კოტე-ოპოზიციაა, თუ უშიშროება? რაც ჩავიფიქრეთ - ყველაფერი იციან.

თათული-(კოტეს) ნეტა, ენას არ ატარტარებდე. ვერ ხედავ? ვიღუპებით.

დურმიშხანი-ვიღუპებით! ვიღუპებით! კომისიებმა, აღარ იციან როგორ დათვალონ ხმები...

კოტე-პირიქით დათვალონ. ოპოზიციას მივუწეროთ ხმები.

დურმიშხანი-მერე? რომ წავაგოთ?

თათული-ჯობია, ჩვენ დავიწეროთ ხმები.

დურმიშხანი-ვინ დაიჯერებს ჩვენს გამარჯვებას?! ქვეყანამ ნახა - როგორ გაყალბდა არჩევნები... ვაი, ვაი... კადრები, გაყალბების კადრები, ჩვენ გავავრცელეთ, ჩვენ...

კოტე-რა იცი, რომ ოპოზიცია ჩვენ გვაძლევს ხმას? იქნებ ოპოზიციის ხრიკია?! იქნებ, გვატყუებენ?

დურმიშხანი-ნეტავ, გვატყუებდნენ...ჩემი თვალით ვნახე.

კოტე-რა ნახე?

დურმიშხანი-ის ვნახე.

კოტე-ვინ ის? ვინ ნახე?

დურმიშხანი-მაყვალა! მაყვალა დეიდა ვნახე.

თათული-არ მჯერა. და... როგორ გადაიტანე? ნამდვილად მაყვალა იყო?

დურმიშხანი-ნეტავ, არ მენახა. ის იყო. საარჩევნო უბანზე ვნახე.

კოტე-ვინ არის მაყვალა?

თათული-სანამ ოპოზიციას მიეყიდებოდა... დიდი ქალია მაყვალა...

დურმიშხანი-დამირეკეს, მაყვალა დეიდა საარჩევნო უბნებზე დადისო.

კოტე-ვინ არის ამისთანა? დადის და იაროს.

თათული-(კოტეს) გაჩუმდი რა! იაროს. იაროს. იცი ვინ არის მაყვალა დეიდა?!

კოტე-ჰო, ვინ არის?

დურმიშხანი-ვინ არის და... ერთდროულად უნახავთ პარიზში, ვაშინგტონში, ათენში, ბერლინში...ყველგან! ყველგან!

კოტე-ხომ ვამბობდი - ოპოზიციის ხრიკია მეთქი.

თათული-რა არის ბიჭო ოპოზიციის ხრიკი?!

კოტე-აბა, თან პარიზში, თან ბერლინში და ყველგან ერთბაშად, როგორ ნახეს?

თათული-შენ არ იცნობ მაყვალა დეიდას.

დურმიშხანი-(ქვითინით) პოლიტიკაში, პირველად, მაყვალა დეიდამ მიმიყვანა. დეპუტატიც მაყვალამ გამხადა... მინისტრიც...

თათული-გეყოფა ისტერიკა.

დურმიშხანი-აეროპორტიდან მოვბრუნდი... სასწრაფოდ ჩავფრინდები ევროპაში, იქ გამოვიჭერ მაყვალას მეთქი და...უცებ მირეკავენ - აქ არისო.

თათული-დავიღუპეთ.

დურმიშხანი-კანფეტები დაურიგებია ჩვენებისათვის... შოკოლადები...

კოტე-მოწამლული?

დურმიშხანი-(ყვირილით) ნეტავ, მოწამლული ყოფილიყო! ნამდვილი, გემრიელი შოკოლადები დაარიგა... თან, თურმე,იღიმოდა...

თათული-ეხლა, მართლა შემეშინდა...

დურმიშხანი-ნიფხვიდან ამოვუღეთ მოპარული ბიულეტენები. სულ ბღუჯა, ბღუჯა ჰქონდა ჩატენილი...

კოტე-ერთი მანახა ეგ მაყვალა... ნეტავ როგორია...?

თათული-(ხათუნა ბიცოლას სურათისკენ მიუთითებს) აი, გახედე. ხათუნა ბიცოლას ტყუპისცალია. ვერ გაარჩევ...

დურმიშხანი-ხათუნა! ხათუნა ბიცოლა მიშველის! წავედი! ხათუნა ბიცოლასთანწავედი...

დურმიშხანი ჩქარი ნაბიჯებით გადის

კოტე-თათუ...

თათული-მე, რა გითხარი?! თათუს ნუ მეძახი!

კოტე თავისკენ მიიზიდავს თათულის

კოტე-უ, რა ქალი ხარ.

თათული-ხელი გამიშვი!

კოტე უშვებს ხელს თათულის

კოტე-ამაღამ ჩემი უნდა გახდე.

თათული-ვის უბედავ?!

კოტე-(სტაცებს ხელს თათულის) ამაღამ, ჩემთან მეთქი!

თათული-(ყვირილით) ხელი გამიშვი!

კოტე უშვებს თათულის. თათული სილას გააწნავს

თათული-წადი შენი!

კოტე-კარგი. ხელი მომეცი.

თათული-გაეთრიე!

კოტე-მაშინ მიყურე.

კოტე მივა ხათუნა ბიცოლას სურათთან და ყვავილებიდან ამოიღებს პატარა მიკროფონს

კოტე-ამას რომ ნახავენ,ნეტავ რას იტყვიან?

თათული-რა გინდა?

კოტე-შენ მინდიხარ.

თათული-ფულს მოგცემ. ბევრ ფულს.

კოტე-(ღიმილით) ფული უკვე მომცეს.

თათული-მოგცეს? ვინ? ვინ მოგცა?

კოტე-გიგიმ. შენმა გიგიმ.

თათული-იტყუები.

კოტე-არ გჯერა? კარგი. უსმინე.

კოტე მიკროფონს რთავს

კოტე-გიგი! კოტე ვარ... გესმის?

გიგის ხმა-ჰო, კოტე. რა ხდება?

კოტე-თათული არ მიჯერებს. უთხარი, რა უნდა გააკეთოს.

პაუზა

გიგის ხმა-მანდ არის?

კოტე-კი. აგერ დგას.

გიგის ხმა-თათუ, საქმე ცუდად არის.

პაუზა

გიგის ხმა-თათუ, მისმენ?

კოტე-გისმენს, გისმენს.

გიგის ხმა-თათუ, გამოგვიჭირეს. დაუჯერე კოტეს.ეს ბოლოა. მეტს აღარ გთხოვ...

თათული მიკროფონს გამოგლიჯავს და იატაკზე მოისვრის

თათული-(ყვირილით) თათუ არავინ დამიძახოს!!!

კოტე-ამაღამ ჩემთან, თათუ...

თათული-(ყვირის) საჭირო კაცო! ვიცი, აქ ხარ! გამოდი!

ხათუნა ბიცოლას სურათის უკნიდან გამოდის საჭირო კაცი

თათული-(საჭირო კაცს) დამეხმარე. დურმიშხანი უნდა ჩავაძაღლო.

საჭირო კაცი-რას მთხოვ? ჭკუაზე ხარ?

თათული-გეგმა მაქვს. დურმიშხანსაც მოვიცილებთ და ოპოზიციასაც მიწასთან გავასწორებთ.

საჭირო კაცი-ამისთანა, რა გეგმა გაქვს?

თათული-ოპოზიციას, ჩემს გარეშე, ვერაფერს უზამთ. დამეხმარე და ოპოზიციას შეგაჭმევინებ.

საჭირო კაცი-ოპოზიციას ღალატობ? რატომ უნდა გენდო?

თათული-(ყვირის) ყველა მეზიზღება! ყველა! გიგიც, დურმიშხანიც, (კოტესკენ გაიშვერს ხელს) ეს ვაჟბატონიც...!ყველა მე მხმარობს! ყელში ამომივიდა!

საჭირო კაცი-მე რაში დაგეხმარო?

თათული-მინისტრობა მინდა.

კოტე-ამათ უყურე. მე ვერ მხედავთ?!

თათული-(კოტეს) მოგცემ! მოგცემ... (კაბას აიწევს) აჰა, მომაჯექი! იქნებ მაცალო, კაცთან ლაპარაკი?! ხურუშიანი.

საჭირო კაცი-მერე?შენი მინისტრობითრა შეიცვლება?

თათული-არც არაფერი... მართალი ხარ... როგორც ეხლა მხმარობენ,მერეც ისევე მიხმარენ...

კოტე-(თათულის) თუ ყველა გხმარობს - მე რა დაგიშავე? ბარემ მეც გიხმარ, რა...

თათული-(თავისთვის) რაღა მე... მთელ ქვეყანას ხმარობენ. გინდა შინაურები და გინდა უცხოელები... როგორც უნდათ, ისე ჟიმავენ ქვეყანას...

კოტე-ვა, პატრიოტი თათული?

თათული-ვის დასცინი, შე ხურუშიანო?!

კოტე-დასაცინი ხარ, აბა რა ხარ? მაგათ გინდა მოერიო?!

თათული-მორევა კი არა, ის მინდა, რომ მადლობები მაინც არ მახდევინონ.

კოტე-ვერ გავიგე? რა მადლობები?

თათული-ქვეყანას ჟიმავენ და თან მადლობას და ბოდიშებს კიდევ ჩვენგან ითხოვენ.

კოტე-აუ, ამას ოპოზიციის ტექსტები დაუზეპირებია...

საჭირო კაცი-თათული, რა გეგმა გაქვს?

თათული-ხალხი უნდა ავაჯანყოთ! ისე უნდა გავაკეთოთ, რომ დურმიშხანიც გავანადგუროთ და ოპოზიციაცზედ მივაყოლოთ...

კოტე-რას ამბობ?!ხალხი თუ აჯანყდა - დურმიშხანს ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ.

საჭირო კაცი-კოტე, წადი - პარიკი იყიდე.

კოტე-რა პარიკი?

საჭირო კაცი-თავზე რომ იკეთებენ - ის პარიკი.

კოტე-როგორი პარიკი?

საჭირო კაცი-ნებისმიერი. არ დააგვიანო. მალე მოდი.

კოტე გადის

საჭირო კაცი-როგორ გინდა ოპოზიცია გააჩუმო?

თათული-ყველა უნდა დავარწმუნოთ, რომ არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა...

საჭირო კაცი-მაგას სერიოზულად ამბობ?

თათული-ჰო. ოპოზიცია დიდი ხანია მაგაზე მუშაობს. მეცმაგაზე ვმუშაობ.

საჭირო კაცი-რას მუშაობ? როგორ უნდა თქვა არჩევნები არ ჩატარებულაო?

თათული-უნდა ვთქვათ.

საჭირო კაცი-როგორ? როგორ უნდა ვთქვათ? მთელი ქვეყანა მონაწილეობდა არჩევნებში.

თათული-ოპოზიციას აქვს ეს გეგმა. თუ არჩევნებს წააგებდნენ, უნდა ეთქვათ - არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულაო. ბლეფი, მოჩვენება იყოო...

საჭირო კაცი-რომელი მინისტრობა გინდა?

თათული-უშიშროების. უშიშროების მინისტრი რომ ვიქნები, უფრო ადვილად გავაკეთებთ ამას.

საჭირო კაცი-შენ სერიოზულად გიმუშავია.

საჭირო კაცი მოუკიდებს სიგარას დაქრება

თათული გამოგლეჯილ მიკროფონს იღებს, აერთებს, ისევ ყვავილებში მალავს და ლაპარაკობს

თათული-გიგი, მე ვარ...

გიგის ხმა-თათუ! ჩემო სიყვარულო...

თათული-(აწყვეტინებს) გიგი, ოპოზიციის გეგმაზე საჭირო კაცს ვუთხარი...

გიგის ხმა-(ყვირილით აწყვეტინებს) რაა?!

თათული-მომისმინე! ასეა საჭირო...

გიგის ხმა-(ყვირის) მომკლავენ! მომკლავენ! რატომ?! რატომ, თათუ?!

თათული-მთავრობა რომ იტყვის - არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულაო - ხალხი უნდა გამოიყვანოთ ქუჩაში...

გიგის ხმა-როგორ?! როგორ გამოვიყვან ხალხს?!

თათული-ყველაფერი ვიცი. ფული საიდან შემოდის, ვინ ვისთანაა შეკრული... დურმიშხანის და ამათ საუბრებსაც ჩავიწერ და მოგცემ.

გიგის ხმა-არ გამოვა, თათუ... ძნელია თათუ. ძნელი...

თათული-მალე უშიშროების მინისტრი გავხდები...

გიგის ხმა-შენ? ხუმრობ?

თათული-ჰო, მინისტრი ვიქნები. პრესკონფერენციას მოვაწყობ და ყველაფერს ვიტყვი...ხალხი აჯანყდება...

გიგის ხმა-არ გეშინია?

თათული-ხალხი უნდა გავაგიჟოთ. თქვენ მანდედან, მე აქედან, ჩემსას გავაკეთებ... დავამხობ, ამ მთავრობას...

შემოდის დურმიშხანი. თათული მივარდება დურმიშხანს

თათული-(დურმიშხანს) რაო, ხათუნა ბიცოლამ? რა გითხრა?

დურმიშხანი-მხოლოდ საჭირო კაცი გიშველითო.

თათული-დაუძახე მერე საჭირო კაცს.

დურმიშხანი-სად ვეძებო?

თათული-აგე, ჭაღზე ზის და ქანაობს.

შემოდის კოტე.

კოტე-(კოტე პარიკს იქნევს) აი, მოვიტანე!

საჭირო კაცი ჭერიდან დაეშვება, კოტეს გამოართმევს პარიკს და მივა დურმიშხანთან

საჭირო კაცი-პარიკი მოგიტანე.

დურმიშხანი-მხოლოდ, შენ გაგახსენდი.

თათული-პარიკი, ჩემი იდეა იყო.

დურმიშხანი-ჩემი გოგო.

კოტე-ფერი მე შეგირჩიე.

დურმიშხანი ჩამოიცმევს პარიკს

დურმიშხანი-მიხდება კოტე?

კოტე-ჯონი დეპი ხარ.

თათული-თან, ცოტა წაიმაფიოზებ.

დურმიშხანი სავარძელში ჩაჯდება. ფეხს ფეხზე გადაიდებს:

დურმიშხანი-საჭირო კაცო, ერთი სიგარა მომეცი.

თათული-ვისკი მოგიხდება, დურმიშხან.

კოტე-ხელზე გაკოცებ, დურმიშხან.

დურმიშხანი ფეხზე წამოხტება

დურმიშხანი-(ყვირის) ჯონი დეპი არა, ისა! (საჭირო კაცს) საქმეზე რა ვქნათ?

საჭირო კაცი-ამაზე, მხოლოდ, მე და შენ უნდა ვილაპარაკოთ. პირისპირ.

თათული და კოტე გადიან

დურმიშხანი-რა მოიფიქრე?

საჭირო კაცი-თათული უნდა დავსვათ უშიშროების მინისტრად.

დურმიშხანი-თათული? მინისტრად? შენ რა გაგიჟდი?

საჭირო კაცი-სხვანაირად არ გამოვა.

დურმიშხანი-რატომ? რა გინდათათულისგან?

საჭირო კაცი-საქმეს ჭირდება.

დურმიშხანი-არა, თათული მე მინდა. თათულის არ დაგითმობ.

საჭირო კაცი-არა? კარგი. მაშინ, მე წავედი.

დურმიშხანი-(იარაღს გააძრობს) ფეხსაც ვერ გაადგამ! თათული არა ისა!

საჭირო კაცი-მე ჩემი გითხარი. მესროლე. თუ, მაგის შნო გაქვს - მესროლე.

დურმიშხანი იარაღს ინახავს

დურმიშხანი-თათული ჩემი შვილის დედაა...

საჭირო კაცი-საქმე მოითხოვს.

დურმიშხანი-არ მეტყვი, რა გეგმა გაქვს?

საჭირო კაცი-მერე გეტყვი. ჯერ, თათულის და კოტეს მოვუსმინოთ.

დურმიშხანი ყვირის:

დურმიშხანი-თათული! კოტე! შემოდით!

შემოდიან თათული და კოტე და სხდებიან მაგიდასთან

საჭირო კაცი-ცოტა ხნით დაგტოვებთ.

დურმიშხანი-(საჭირო კაცს) მოიცა! რა წინ და უკან დარბიხარ?!

საჭირო კაცი-რა მითხარი?

დურმიშხანი-არაფერი. მეც მოვდივარ.

დურმიშხანი და საჭირო კაცი გადიან

თათული-პარტიის თავმჯდომარე შენ გახდები, კოტე.

კოტე-რაა? არ მინდა!

თათული-გაჩუმდი და მისმინე. საჭირო კაცი ჩვენსკენ არის.

კოტე-მომკლავს დურმიშხანი.

თათული-დურმიშხანი თუ დარჩა, მართლა ყველა დავიღუპებით, კოტე.

კოტე-მეშინია თათუ.

თათული-კოტე, ახლა ყველაფერი შენზეა. ან დავიღუპებით, ან გადაგვარჩენ... და ქვეყანასაც უშველი.

კოტე-მე, რა შემიძლია?

თათული-სამშობლო განსაცდელშია! ყველა შენ შემოგყურებს! გვიშველე კოტე!

კოტე-მე, ნუ გამრევ, რა. გეხვეწები.

თათული-ხომ მოგწონვარ?

კოტე-თათუ, ვაფრენ შენზე...

თათული-მე, ლიდერებზე ვაფრენ. ვდნები, კოტე. ძლიერ მამაკაცებზე ჟრუანტელი მივლის.

კოტე-მართლა გადავარჩენ სამშობლოს?

თათული-ყველა, შენ შემოგყურებს, კოტე! მხოლოდ შენ უშველი ქვეყანას!

კოტე-კარგი თათული.გადავარჩინოთ სამშობლო. ერთად ვიყოთ. მოვიცილოთ დურმიშხანი და სულ ერთად ვიყოთ.

შემოდის დურმიშხანი

დურმიშხანი-თათული, მინისტრი იქნები.

კოტე-გილოცავ, თათული!

დურმიშხანი-გაგიხარდა, თათული?

თათული-მინისტრობა? ჰო, მინისტრობა კარგია... მაგრამ... მე რომ შენთან მინდა?

დურმიშხანი-ჩემთან იქნები, ჩემთან...

კოტე-(ვნებიანად) ყველა ერთად ვიქნებით, თათუ...

თათული-დურმიშხან, შენ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგები.

დურმიშხანი-რა საინტერესოა. მერე, მერე?

თათული-თავმჯდომარე კოტე იქნება.

დურმიშხანი-ეს კოტე ხომ? განაგრძე.

თათული-უნდა გამოვაცხადოთ, რომ არჩევნები,საერთოდ არ ჩატარებულა. არ ყოფილა...

კოტე-ეხლა, მეც დავიბენი. როგორ თუ არ ჩატარებულა?

დურმიშხანი-არჩევნებმა დაგაბნია, კოტე?

კოტე-არ ჩატარებულა არჩევნებიო, და...

დურმიშხანი-ჩემი გადადგომა და შენი თავმჯდომარეობა მშვენივრად გაიგე! და,რაღა არჩევნებმა დაგაბნია?!

კოტე-მე... მე... მე სამშობლოს...

დურმიშხანი-თქვენ სისხლს დავლევ!

თათული-გაჩუმდით!აქ, ისეთი ამბები შეიძლება ატყდეს - ერთმანეთს ვასწრებდეთ ფანჯრებიდან გადახტომას!

დურმიშხანი-ცეცხლს ეთამაშებით, თქვე საცოდავებო...

თათული-დურმიშხან - იყავი პარტიის თავმჯდომარე. მე მაპატიე. მე შემეშალა...

დურმიშხანი-(თათულის უყვირის) ჩუმად!(მშვიდად) კოტე, გაჩუქებ პარტიას.

კოტე-არ მინდა, დურმიშხან... დამაძალეს... არ მინდოდა...

დურმიშხანი-გინდა, კოტე. გინდა. დამიჯერე. გინდა.

კოტე-ჰო, მინდა...

დურმიშხანი-(კოტეს) ჰოდა, პარტიის თავმჯდომარეობა თუ გინდა - წადი ჟანასთან და თავი გადაიპარსე. პარიკი არ გინდა, არ იყიდო... ამ პარიკს გაჩუქებ...

კოტე დგება და გადის

თათული-კოტეს რას უპირებ?

დურმიშხანი-არაფერს. მაგას, თავის გადაპარსვაც ეყოფა.

თათული-მე? მე რა მომივა?

დურმიშხანი-ნამდვილად გინდა მინისტრობა?

თათული-ჰო... კი... მინდა.

დურმიშხანი-იქნებ, სახლში დაჯდე... ჩვენშვილს მოუარო...

თათული-(ყვირილით წამოხტება) გადაიფიქრე?!მინისტრი აღარ ვიქნები?!

დურმიშხანი-პოლიტიკა ბინძური საქმეა, თათული.

თათული-ვხედავ.

დურმიშხანი-არ დაგინდობენ.

თათული-არც მე დავინდობ...

შემოდიან საჭირო კაცი და თავგადაპარსული კოტე

თათული-ვაი! მეჩვენება?

საჭირო კაცი-არ გეჩვენება...

თათული-(იცინის) დურმიშხან, როგორ გავხართ ერთმანეთს? ტყუპჩიკები!

კოტე-თათული, ზედმეტი მოგდის... თათული...

თათული-თქვენ ერთმანეთის...? არა... არ მჯერა...

საჭირო კაცი-თათული, საქმეზე ილაპარაკე...

თათული-დურმიშხან, კოტე შენი შვილია?

საჭირო კაცი-მე მოვრჩი. წავედი. თათული ვირუსზე ილაპარაკე.

საჭირო კაცი ქრება

დურმიშხანი-(კოტეს) მოდი ჩემთან.

კოტე მიდის დურმიშხანთან

დურმიშხანი-დაიჩოქე.

კოტე იჩოქებს. დურმიშხანი წკიპურტებს (ე. წ. შალაბნებს) ურტყამს თავში კოტეს

დურმიშხანი-კოტე, შენ პარტიის თავმჯდომარე ხარ.

დურმიშხანი ჩაარტყავს „შალაბანს“

კოტე-(ყვირის) ა, ა, ა! მეტკინა...

დურმიშხანი-ქვეყანა უნდა მართო.

დურმიშხანი გამეტებით ჩასცხებს „შალაბანს“

კოტე-(ყვირის) ნელა! ცოტა ნელა. გეხვეწები... მტკივა...

დურმიშხანი-ნაბიჭვარიც ხარ, კოტე... ჩემი ნაბიჭვარი.

დურმიშხანი კიდევ ჩასცხებს

დურმიშხანი-დედაშენს რომ გავურჭე, შენ, მერე გაჩნდი, კოტე...

კოტე-გავიგე... ვაიმეე! მტკივა...

დურმიშხანი-კოტე, თუ თათულის არ შეეშვები, თავს მოგაჭრი.

კოტე-გასაგებია...

დურმიშხანი მოზიდავს თითს და მაგრად ჩასცხებს

დურმიშხანი-თათული შენი ძმის... ნახევარძმის, დედაა... გაიგე, შე ნაბიჭვარო?!

კოტე-(ტირილით) მაპატიე. აღარ ჩამარტყა... გეხვეწები... მტკივა...

დურმიშხანი თავზე ეფერება კოტეს

დურმიშხანი-პარტიის თავმჯდომარე ხარ, კოტე. გვითხარი, ამ არჩევნებს რა ვუყოთ? რა ვქნათ?

თათული-უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში ვირუსი გავრცელდა.

კოტე-(დგება და თავს ისრესავს) ვირუსი ისედაც არის.

თათული-ჩვენ ახალ ვირუსზე უნდა ვილაპარაკოთ. ისეთი ვირუსი გავრცელდა - მასობრივ ჰალუცინაციებს რომ იწვევს. ხალხს მოეჩვენა, რომ არჩევნები ჩატარდა...

კოტე-თათული, რა მოჩვენებებიაგიტყდა?!

თათული-ხალხი უნდა დავაჯეროთ, რომ არჩევნები არ ჩატარებულა.

კოტე-არც მრავალქმრიანობა ყოფილა... არც იარაღის ტრიალი საარჩევნო უბნებთან... მაყვალა დეიდა, ხომ - დიჯეიმაკოა,არა?

თათული-(კოტეს) მამაშენი აიგდე, ბიჭო! უი, ბოდიში დურმიშხან...

კოტე-ჩემი დედიკო, თათული...

თათული-ჩვენმა ტელევიზიებმა, ამაზე უნდა ილაპარაკონ დღე და ღამე. ტელევიზიებმა უნდა დააჯერონ მოსახლეობა, რომ ვირუსი მოედო ქვეყანას და მასობრივი ჰიპნოზია...

კოტე-ვინ უნდა დააჯერონ?ჩვენს ტელევიზიებს მხოლოდ -მე, შენ და დურმიშხანი ვუყურებთ.

თათული-ამიტომ, ოპოზიციურიტელევიზიები უნდა დავაჯეროთ, რომ ახალი ვირუსია. რომ დაიჯერებენ, ისინიც დაიწყებენ მტკიცებას - არჩევნები, საერთოდ არ ჩატარებულაო.

კოტე-როგორ დააჯერებ ოპოზიციურ ტელევიზიებს? შენი ქარაქუცა ჟურნალისტები კი არ არიან?

თათული-ჩვენ არა. სხვები დააჯერებენ...

კოტე-ვინ სხვები?

თათული-ცნობადი სახეები. ავტორიტეტები. ექიმები... გამოვლენ და იტყვიან - მტრულმა სახელმწიფომ გამოიყენა აკრძალული ფსიკიქური იარაღიო.

კოტე-ცნობადისახეები ჰო... მაგრამ, დაუჯერებს ხალხი?

თათული-მეცნიერებსაც გამოვიყვანთ.

კოტე-ვერ გამოიყვან.

თათული-მართლა კოტე? მართლა პატარა ბიჭი ხარ... საჭირო კაცმა უკვე მოძებნა ასეთი სამეული...

კოტე-რომელი სამეული?

თათული-მეცნიერებიც არიან... და, ექიმებიც...

კოტე-რაო? ვიტყვითო? ამ სისულელეს ვიტყვითო?

თათული-იტყვიან. პოპულარობას... დიდებას... ტენდერებს... რაღაცეებსაც შევპირდით... მუშკეტერებად გაკურთხებთ თქო... ვათქმევინებთ...

კოტე-(დურმიშხანს) ჩუმად რატომ ხარ?

დურმიშხანი-ვფიქრობ.

თათული-პანიკა უნდა გავავრცელოთ. ექიმები იტყვიან, რომ ეს ვირუსი სასიკვდილოა. უნდა შევაშინოთ მოსახლეობა. ისე უნდა შევაშინოთ - სულ დაავიწყდეთ არჩევნები...

კოტე-შიში მამაძაღლია. შიში მომეწონა.

თათული-უფრო რომ შეეშინდეთ. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ვირუსის ჩვენც გვეშინია. ყველამ უნდა დაიჯეროს - რომ ჩვენც პანიკაში ვართ.

კოტე-დავიმალოთ...

თათული-რა უნდა დავიმალოთ.დურმიშხანი გამოაცხადებს - ბანკებს ვაუქმებო... მთელ ჩემს ქონებას ღარიბებს ვურიგებო...

კოტე-ეგეც მომეწონა. მაგრამ... ოპოზიცია?

თათული-ოპოზიციამ რომ თქვას - დურმიშხანი იტყუებაო, ხალხი ოპოზიციას ჩაქოლავს. ბანკების დახურვას ეხუმრები?

კოტე-გესმის, დურმიშხან?

დურმიშხანი-გისმენთ. გააგრძელე, თათული.

თათული-ამით, მეცნიერებსაც მივეხმარებით. ყველა დაიჯერებს, რომ ჰიპნოზმა გააკეთებინა ეს დურმიშხანს. აბა, თავისი სურვილით რომ არ დაარიგებს ქონებას - ყველამ იცის.

კოტე-დურმიშხან, ყველაფერს კარგავ! ნოლზე გსვამენ!

დურმიშხანი-(ღიმილით) ჩემზე ნუ დარდობ, კოტე...

კოტე-უცხოეთი? ელჩები? ელჩები არ დაგავიწყდეს, თათული.

თათული-ელჩებსაც ვათქმევინებთ. იტყვიან სასიკვდილო ვირუსია - რა არჩევნები და დემოკრატია აგიტყდათო?!

კოტე-ელჩებიამასარ იტყვიან.

თათული-ოცდაათი წელია ამ საგიჟეთს უყურებენ და რაღა ახლა გაუსკდებათ დემოკრატიის ბუშტი?!

კოტე-ამერიკის ელჩზე ეჭვი მეპარება.

თათული-ამერიკის ელჩი პირველი იტყვის.

კოტე-არ იტყვის. მაინც ამერიკაა...

თათული-იტყვის. იტყვის. აბა, იმას ხომ არ იტყვის - სულ გაგიჟდა ხელისუფლება და დაამხეთო?! რევოლუციისაკენ ხომ არ მოუწოდებს ხალხს?

კოტე-დარწმუნებული ხარ?

თათული-აბა, რა. სხვა ელჩებს არ წაუთაქებს რო:–„აბა, ეხლა თქვენც იგივე თქვითო!“

კოტე-ელჩებზე ზეწოლა? ევროპა ამას არ აპატიებს?

თათული-გადაყლაპავენ. მაგათ, სტაბილურობაზე ეკეტებათ.

კოტე-შენ რას იტყვი, დურმიშხან?

დურმიშხანი-მშვენიერია. ყოჩაღ, თათული.

თათული წამოდგება და რევერანსით უკრავს თავს

კოტე-უნდა აღვნიშნოთ! რესტორანში! რესტორანში!

დურმიშხანი-(ჩაფიქრებული) უნდა ვიქეიფოთ. დღეს... დღეს... ჰო...

კოტე-მოდი, დღეს თათულიმ გვითამადოს.

დურმიშხანი-აბა რა. თათულია თამადა. ჰო მართლა. სანამ რესტორანში წავალთ... რაღაც გამახსენდა...

კოტე-რა იყო?

დურმიშხანი-კოტე, ცოტა ხანი გაჩუმდი. მე და თათული გვალაპარაკე. კარგი?

კოტე-ჩუმად ვარ.

დურმიშხანი-თათული, საჭირო კაცმა იმაზე მეტი იცის, ვიდრე საჭიროა.

დურმიშხანი ამოიღებს იარაღს და მაგიდაზე დადებს

დურმიშხანი-ეს შენ უნდა გააკეთო, თათული.

თათული-სხვა გზა არ არის?

დურმიშხანი-საჭირო კაცი არ გაჩუმდება.

თათული-სხვამ გააკეთოს... არ შემიძლია...

დურმიშხანი-რა გინდოდა? რას აეკიდე ოპოზიციას? პრესკონფერენციებს მოვაწყობო... ხალხი ავაჯანყოთო...

თათული-ხომ გიყვარდი, დურმიშხან...

დურმიშხანი-იარაღი აიღე, თათული...

თათული-მაპატიე...

დურმიშხანი-მე კი გაპატიებ...მაგრამ... სისტემა მუშაობს, თათული. სისტემა...

თათული-დურმიშხან, ჩვენ შვილი გვყავს...

დურმიშხანი-რომ მოაღე პირი და... უცხოელები ჟიმავენ ქვეყანასო... რა გეგონა?

თათული-გვიანია? მორჩა?

დურმიშხანი-ყველა გადაიკიდე - ჩვენ, ელჩები, ოპოზიცია... თან იმუქრები... რისი იმედი გაქვს? ვინ დაგიცავს?

პაუზა

თათული-როდის უნდა გავაკეთო?

დურმიშხანი-ახლავე, თათული.

თათული აიღებს იარაღს

თათული-სად? სად წავიდე?

დურმიშხანი-(თათულის) საჭირო კაცი მოსაცდელშია.

თათული გადის

კოტე-არ გვაპატიებენ...

დურმიშხანი-რას არ გვაპატიებენ?

კოტე-საჭირო კაცის მოკვლას... მეშინია...

დურმიშხანი-მართალი ხარ, კოტე.

ისმის გასროლის ხმა

დურმიშხანი-მორჩა. არჩევნებიც გადავაგორეთ.

კოტე-გავალ. გავხედავ.

დურმიშხანი-მიდი, კოტე. მიდი. გახედე.

კოტე გადის

მალე კოტე უკან შემორბის ყვირილით

კოტე-(ყვირის) თათულიმ! თათულიმ! თათულიმ მოიკლა თავი.

დურმიშხანი-აბა, შენ რა გეგონა?

კოტე-რაა? იცოდი? იცოდი - თათული რომ თავს მოიკლავდა?

დურმიშხანი-აბა რა გეგონა? შე უტვინო. ვინ მოკლავს, ბიჭო, საჭირო კაცს?!

კოტე-ღმერთო.

დურმიშხანი-ჰო, სანთლები კი გაქვს დასანთები...

კოტე-მივხვდი.

დურმიშხანი-შენ გაგიმართლა. მე რომ არა, ეხლა, შენც თათულის გვერდით იქნებოდი.

კოტე-ვიცი.(პაუზა) მადლობა.

შემოდის საჭირო კაცი

დურმიშხანი-(საჭირო კაცს) ხომ არ უწვალია?

საჭირო კაცი-არა. ფანჯარა გამოაღო, ჰაერი ჩაისუნთქა ღრმად და მერე გაისროლა.

დურმიშხანი-ხათუნა ბიცოლა მომიკითხე.

საჭირო კაცი-მოგიკითხავ. აუცილებლად.

საჭირო კაცი უკიდებს სიგარას და ქრება

დურმიშხანი-აბა, წავედით, კოტე!

კოტე-სად?

დურმიშხანი-რესტორანში, კოტე. რესტორანში. სუფრა გაშლილია.გველოდებიან.

კოტე-ვინ გველოდება?

დურმიშხანი-ყველა. ელჩები, მთავრობა, ოპოზიცია...

კოტე-ვი-ინ?ელჩები? ოპოზიცია?

დურმიშხანი-დღეს გიგი კისრულობს.

კოტე-რას კისრულობს, გიგი?

დურმიშხანი-ელჩებმა შეგვარიგეს.ზავი დავდეთ. ოპოზიცია გაჩუმდება. უნდა აღვნიშნოთ.

კოტე-არჩევნები ჩატარდა? ვირუსი აღარ არის?

დურმიშხანი-ვირუსი არის. არჩევნები არ ყოფილა... თათულის გეგმა მუშაობს. (პაუზა) თათულის გარეშე მუშაობს...და, არც აჯანყება მოხდება...

კოტე-გიგიმ იცის?

დურმიშხანი-იცის, კოტე - იცის. თათულის ყველას განადგურება უნდოდა - ჩვენი, ოპოზიციის, ყველასი... კოტე, ხალხი რომ აჯანყდება, მერე...

კოტე-საწყალი თათული...

დურმიშხანი-პარიკი არ დაგავიწყდეს კოტე.

კოტე იკეთებს პარიკს

კოტე-კიდევ რა გავაკეთო?

დურმიშხანი-არაფერი. რესტორანში წავიდეთ. კოტე, ისე, ეგ პარიკი მაგრად გიხდება... ჯონი დეპს გავხარ...

ფარდა